

(რ. გვეტ.). **ერია (გამოერია)** ზმნის სემანტიკა სიმციროს, ოდნობის შინაარსს შეიცავს: („შიგადაშიგ, ალაგ-ალაგ გაუჩნდება, ზოგან დაემჩნევა“, — ქეგლ). ამიტომ მრავლის, ქარბის შემცველი უხვად ზმნისართისა და გამოერია (იხ.) ზმნის მნიშვნელობები ერთმანეთს არ მიესადაგება.

ფ

ფავორიტი უცხო სიტყვაა (ფრანგ. favorite, გერმ. Favorite. < ლათინური favor) და აღნიშნავს: 1. ადამიანს, რომელიც სარგებლობს გავლენიანი, მაღალი თანამდებობის პირის კეთილგანწყობილებით, მოსარჩლეობით, მფარველობით, სიყვარულით; საერთოდ, ვისიმე საყვარელ, გამორჩეულ პირს და 2. მეფის ან დედოფლის საყვარელს, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმეთა გადაწყვეტისას (ქეგლ).

ფავორიტის ეს მნიშვნელობები თანამედროვე ქართულისათვის მოძველებულია და იშვიათად თუ იხმარება ასეთი დანიშნულებით, მაგრამ ამ სიტყვას ძირითად სემანტიკაზე დაყრდნობით ახალი ნიუანსი გაუჩნდა სპორტის ენაში. ს. ოქეგოვის „რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში“ მითითებულია ასეთი მნიშვნელობაც: დღღში პარკელობის მეტი შანსის მქონე ცხენი. უკანასკნელ ხანებში კი ეს ვიწრო მნიშვნელობის სიტყვა გააქტიურდა სპორტულ თემებზე საუბრისას, თან მნიშვნელობაც გაიფართოვა და ახლა იხმარება იმ პირის, გუნდის, კლუბის თუ ნაკრების აღსანიშნავად, რომელსაც მეტი შანსი აქვს შეჯიბრებაში, ასპარეზობაში პირველობის მოსაპოვებლად. ეს ფაქტი სპეციალურ ლიტერატურაში ახსნილია ჩვენს ქვეყანაში სპორტის მასობრიობით, ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიო ჩემპიონატებში ჩვენი სპორტსმენების წარმატებით, რამაც ხელი შეუწყო, სხვათა შორის, ამ მნიშვნელობით სიტყვა **ფავორიტის** გავრცელებასა და დამკვიდრებას: „ვინ შეიძლება ჩიითვალოს გათამაშების მთავარ ფავორიტად? ამაზე მსჯელობა, ვფიქრობთ, ჯერ ადრეა“ („თბილ.“); „შეჯიბრების ფავორიტები იყვნენ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ზაკის აღზრდილი“ („ლელო“); „რამდენიმე ხნის წინ ამ წონაში ქვემძიმე წონაში უდავო ფავორიტად ითვლებოდა გროზნოელი მსოფლიო ჩემპიონი ა. ბისულთანოვი“ („კომ.“); „ასევე იყვნენ განწყობილი ბრძოლისათვის დანარჩენი ფავორიტებიც“ („ახ. კომ.“); „თბილისის „დინამოს“ — გათამაშების ლიდერსა და წლევეანდელი სეზონის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს, — ეს მატჩი რომ მოეგო, მნიშვნელოვნად განამტკიცებდა ერთპიროვნული ლიდერის მდგომარეობას“ („კომ.“); „სა-

ყურადღებოა, რომ ყველა მეტოქე ნაკრები გუნდების ხელმძღვანელები და ექსპერტები მთავარ ფავორიტად მაინც საბჭოთა ნაკრებს მიიჩნევენ «ფეხბურთში» («კომ.») და იქვე: «დანის ნაკრები, რომელიც ევროპის პირველობის ფინალის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება, მსოფლიო პირველობის ფინალშიც უნდა გავიდეს».

ამგვარად, ქართულსთესიაც ფაქტია ფავორიტის ასეთი მნიშვნელობა: ჩემპიონობის მოსალოდნელი პრეტენდენტი. იგი მოერგო ძირითად მნიშვნელობას. მაგრამ გვხვდება გადახრის შემთხვევებიც: მაგ.: «ერთი რამ ცხადია — ტურნირს არც აშკარა ფავორიტები ჰყავს და არც აშკარა აუტსაიდერები» («კომ.»). აქ ფავორიტი დაწინაურებული სპორტსმენის, შეჯიბრების ლიდერის მნიშვნელობითაა ნახმარი და არ გულისხმობს თავიდანვე დასახელებულ, თავისი მონაცემებისა და შინაის მიხედვით აღიარებულ მონაწილეს. ამ სიტყვის ასეთი გამოყენება მისი ძირითადი მნიშვნელობის დამახინჯებაა სალიტერატურო ქართული ენის თვალსაზრისით.

ფარა. შინაურ თუ გარეულ ცხოველთა, ფრინველთა და მწერთა სხვადასხვა სახეობის სიმრავლის აღსანიშნავად ქართულში რამდენიმე კრებითი სახელი იხმარება: არვე, რემა, ფარა, ხროვა, ჯოგი, გუნდი და სხვ. ამათგან არვე (საბას მიხედვით, „ჯოგი თხათა და ცხოვართა“) თითქმის აღარ გამოიყენება თანამედროვე ქართულში, რემა მხოლოდ ცხენთა სიმრავლეს აღნიშნავს, გუნდი უპირატესად ფრინველთა სიმრავლეზე ითქმის. დანარჩენი კრებითი სახელების (ფარა, ხროვა, ჯოგი) მოხმარების სფერო თითქმის ერთგვარად დანაწილებულია ენაში (მაგალითად, ფარა შეიძლება იყოს ცხვრისა, თხისა, ჯიბვისა, არჩვისა...; ჯოგი — სპილოსი, მელიისა, ირმისა, ჭვირნისა, კანჯრისა...; ხროვა — ბაყაყებისა, მგლისა...), მაგრამ მკაცრად გარჩეული და დაცული ეს დანაწილება მაინც არ არის. (მაგალითად, მხატვრული ლიტერატურის ენაში შეგვხვდება: ერთი მხრივ, ფუტკრების ჯოგი, მეორე მხრივ, ბატების ფარა, ქორ-შავარდნების ფარა და მისთ.). ოღონდ ორი რამ აშკარაა: ე. წ. მტაცებელ ცხოველებს ენა უფრო ხროვას ან ჯოგს უსადაგებს და სხვა სახელებთან შედარებით ფარა უფრო ფართოდ მოიხმარება. (მხატვრული ლიტერატურის ენაში, გარდა ზემოთ აღნიშნული შესიტყვეებებისა, დადასტურებულია ძროხის ფარა — ბაჩ., ძაღლის ფარა — შ. არაგვ. და სხვ.).

მიუხედავად აღნიშნული კრებითი სახელის მოხმარების ამგვარი მასშტაბურობისა, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის არაბუნებრივია, ვთქვათ, მგლის სიმრავლის აღსანიშნავად ფარას გამოყენება. ამიტომ არ არის სწორი: «გამთენიისას მგლის ოცდაათულიანი ფარა [უნდა იყოს: ხროვა] თავს წამოგვადგა» («საქ. ბუნ.»);

„მგლისა და მგლის ფარისა [უნდა იყოს: ხროვისა] კი ბავშვობაშიც არ მშინებია“ („სამშ.“). შტრ.: „დღისით ხშირად ვხედავდიო მგლის ხროვებს“ (ი. მჭედლ.).

ფარგლებში. -ში თანდებულებანი სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა **ფარგლებში** იხმარება ასეთი მნიშვნელობით: რაიმე ტერიტორიის საზღვრებში ან ზოგადად რისამე გავრცელების, მოქმედების არეში. ამ მნიშვნელობითაა გამოყენებული ეს ფორმა შემდეგ შემთხვევებში: „საარჩევნო უბნის ფარგლებიდან [ნიშნავს: ტერიტორიიდან] ამომრჩევლის წასვლის შემთხვევაში სათანადო საბჭოების აღმასკომებმა ეს უნდა აღნიშნონ ამომრჩეველთა სიებში“ („კომ.“); „მწერალი ისტორიული სინამდვილის ფარგლებს არ სცილდება“ („ლიტ. და ხელ.“) და სხვ.

ფარგლები ვადატანითი მნიშვნელობით გამოიყენებისას ქმნის ბუნებრივ შესიტყვებებს რამდენიმე ზოგადი ცნების აღმნიშვნელ სახელთან: **ზრდილობის ფარგლებში**, **კანონის ფარგლებში** და მისთ, ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, მიცემითი ბრუნვის ფორმა იხმარება — -ში თანდებულებით ან უთანდებულოდ (ზმნის გათვალისწინებით): **ზრდილობის ფარგლებს სცილდება**, **კანონის ფარგლებში თავსდება** (ეტივია) და სხვ.

ღისახელებული მნიშვნელობებით ამჟამად ჩვეულებრივია მრავლობითი რიცხვის ფორმის გამოყენება, ადრე კი მხოლოდობითი რიცხვის ფორმითაც უხმარიათ. მაგ.: „დანია ბისმარკის ხელმა თავისი პოლიტიკის **ფარგალში** მოამწყვდია“ (ილია); „მდიდარი და ფართო მოედანი „ვეფხისტყაოსნისა“, ჭეშმარიტის კრიტიკის ფრთის გასაშლელად ვრცელი სარბიელი, შეცდომით ან განგებ ვიწრო **ფარგალში** მოუმწყვდევიაო“ (აკაკი); „ახლა წესებით იყო ცხოვრება შემოფარგლული და, მეტი ღონე არ ჰქონდა, ამ **ფარგალში** უნდა ემოქმედნა“ (ე. ბარნ.) და სხვ. მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრდა მრავლობითი რიცხვის (**ფარგლებში**) ფორმის ხმარება, შესაძლოა, რუსული კონსტრუქციის — **в рамках** (за рамки), **в пределах** (за пределы) ანალოგიით. რუსულში რისამე სივრცითი ან დროითი საზღვრების მნიშვნელობით გამოიყენება სათანადო სიტყვები მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმები. ამ სიტყვებით აღინიშნება ვინმეს მიერ დადგენილი ან საყოველთაოდ მიღებული პირობითი შეზღუდვებიც. აქედანაა გამოთქმა: „держатъ себя в рамках (приличия)“.

თანამედროვე ქართული პრესის ენაში სიტყვა **ფარგლებში** ზოგჯერ უადგილოდ, უფუნქციოდ გამოიყენება და მას თავისუფლად შეიძლება შეენაცვლოს სხვა, კონტექსტისათვის უფრო შესაფერისი სიტ-

ყვები (მაგ.: დროს, დღეებში, განმავლობაში, ვითარებაში...): „საიუბი-
ლეთ ზეიმის ფარგლებში [უნდა იყოს: ზეიმის დროს, ან დღეებში]
რუსთავში მოეწყობა ქუჩების დღესასწაული“ („კომ.“); „აქ ტრადი-
ციული საერთო-საქალაქო თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში
[უნდა იყოს: დღესასწაულის დროს] გაიმართა შრომის გმირთა პატივ-
გება“ („კომ.“); „იგი [გამოფენა] მოეწყო სსრ კავშირისა და ბულგარე-
თის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიების მეცნიერულ-
ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში [უნდა იყოს: პროგრამით,
გეგმით]“ („თბილ.“); „სტუდენტური დღეების ფარგლებში [უნდა
იყოს: განმავლობაში, ან: სტუდენტურ დღეებში] გაიმართა პოეზიის
საღამოები“ („ახ. კომ.“).

ასევე, რუსული в пределах (в рамках) გამოთქმის გადმოსა-
ცემად არ არის აუცილებელი ყოველთვის სიტყვა ფარგლებში გამო-
ვიყენოთ: საამისოდ ქართულს მოეპოვება სხვა, სათანადო კონსტრუქ-
ციებისათვის უფრო ბუნებრივი სიტყვები (იხ. ზემოთ).

ფართო; ფართოდ. ზედსართავი სახელი ფართო რამდენიმე
მნიშვნელობით იხმარება: განიერი; გაშლილი, ვრცელი; ლაღი; ბევრის
(უმრავლესობის) მომცველი, მასობრივი... პოლისემიურობის გამო იგი
მრავალ ზედსართავ სახელთან ქმნის სინონიმურ წყვილს. თანამედრო-
ვე ქართულ ენაში შეინიშნება შემდეგი სახის დარღვევები ამ ზედსარ-
თავის გამოყენებისას:

1. **ფართო** თანდათან თითქოს დევნის ხმარებიდან ყველა სინონი-
მური მნიშვნელობის ზედსართავს. მაგალითად: „**ფართო** [უნდა იყოს:
დიდი] ადგილი დაეთმო საქართველოსა და მისი მოსმე ხალხების
დღევანდელ ურთიერთობას“ („ახ. კომ.“); „წიგნი იმსახურებს **ფართო**
კვლევით ანალიზს [უნდა იყოს: საჭიროებს ღრმა ანალიზს]“ („საბჭ.
ხელ.“).

განსაკუთრებით ხშირად იხმარება **ფართო** შემდეგი მნიშვნელო-
ბით: ბევრის (უმრავლესობის) მომცველი, ბევრისთვის განკუთვნილი,
მასობრივი. ამ მნიშვნელობამ კი, თავის მხრივ, უფრო შეუწყო ხელი
ფართოს უადგილო ხმარებასა და შტამპად ქცევას. ასეთ შტამპებს
წარმოადგენს: **ფართო მონაწილეობა** [= ბევრის აქტიური მონაწი-
ლეობა]: „იმედი გვაქვს, რომ კონკურსში **ფართო მონაწილეობას** მიი-
ღებს [უნდა იყოს: მასობრივად ჩაებმება] ახალგაზრდობა“ („კომ.“);
ფართო მხარდაჭერა: ამ წინადადებაში (ლონისძეებში) **ფართო მხარდა-
ჭერა** პოვა... იგი შეეკუმშული, ელიბტირებული შესიტყვებაა (= ფარ-
თო მასების მხარდაჭერა), კალკია რუსული გამოთქმისა Широкая
поддержка, რომელიც მიუღებელ შტამპად ითვლება თვით რუსული
სალიტერატურო ენისათვის (იხ. PPP). არცთუ იშვიათად გვხვდება

შესიტყვება ფართო ხელოვნება: „...გამოფენის ექსპონატები შესაძლებლობას მისცემენ მრავალრიცხოვან დამთვალიერებლებს გაეცნოს საქართველოს სსრ ფართო და მრავალფეროვან ხელოვნებას“ („კომ.“). იგი ისეთივე არაბუნებრივი, მიუღებელი გამოთქმაა, როგორც, უკეთათ: **ფართო ლიტერატურა. მრავალფეროვანის** გვერდით შეიძლება ვაგხმარა ზედსართავები: **დიდი, ღრმა, მრავლისმთქმელი...** ხელოვნება (ლიტერატურა) შეიძლება იყოს, აგრეთვე: **ბრწყინვალე, ხანაღწი, უყვდავი, უზერებელი...**

2. ერთსა და იმავე კონტექსტში ზოგჯერ თანაბრად იხმარება ზედსართავი **ფართო** და მისგან ნაწარმოები ზმნისართი **ფართოდ** (იხ. დიდი; დიდად. მათი გამოიგნა კი აუცილებელია: ცნობილია, რომ ზმნისართი ზმნისა და ნაზმნარი სახელის ამხსნელი სიტყვაა, ზოლო ზედსართავი — სახელისა. შდრ.: ფართო ნაბიჯი და ფართოდ გადგმული ფეხები; ფართო კარი და ფართოდ გაღებული კარი (ან: კარი ფართოდ გაიღო). ამ წესს ნაკლებად ემორჩილება ე. წ. საწყისი, რომლის გამოიგნა აბსტრაქტული არსებითი სახელისაგან ხშირად ჭირს... ამიტომაცაა, რომ ვაგრძელებულ შესიტყვებებად ქვეულა **ფართო მსჯელობა** და **ფართო განხილვა**; თანაც, ეს შესიტყვებანი შეკუმშულ ფრაზებს წარმოადგენენ — შეიცავენ ორგვარ მნიშვნელობას: **ფართო მსჯელობა** (**ფართო განხილვა**) არის მსჯელობა (განხილვა) მრავალი პირის მონაწილეობით ან განსახილველი საკითხის ყველა მხარის გათვალისწინებით (ან ერთიც და მეორეც). ჯობს, უპირატესობა მივცეთ ზმნისა და ზმნისართის შემცველ შესიტყვებებს: **ფართოდ იმსჯელებს, ფართოდ განხილვს...** მაგრამ გაუმართავი შესიტყვებაა **ფართოდ ილაპარაკეს**: „...მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ორატორებმა **ფართოდ** [უნდა იყოს: ვრცლად] **ილაპარაკეს** ჩვენი მხატვრული კულტურის მდგომარეობაზე“ („ლიტ. საქ.“).

ზმნისართი **ფართოდ** ზოგჯერ უადგილოდ იხმარება მასობრიობის, ინტენსიურობის გამოსახატავად, მაგალითად: „კურდღელზე **ფართოდ** ნადირობენ [უნდა იყოს: მასობრივად ნადირობენ, ბევრს ნადირობენ, ხშირად ნადირობენ; ან: ბევრი ნადირობს] ზამთარში“ („ზოლო.“): „სოლოლის მთელი ძალები **ფართოდ** [უნდა იყოს: მჭიდროდ, მტკიცედ] არიან დარაზმული იმისათვის, რომ წარმატებით გააანალიზონ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი“ (ახ. ცხოვრ.“).

ფართო და **ფართოდ** სიტყვების (ისევე როგორც სხვა ნებისმიერი სიტყვის) ხშირი და მრავალმხრივი მნიშვნელობით ხმარება ცვეთს თვით ამ სიტყვებს და რიგ შემთხვევაში კი არ ამღიდრებს, არამედ აღარბებს კიდევ სალიტერატურო ენას.

ფარსაგი; ფარსაგად სიტყვათა მნიშვნელობა ძველ ქართულში თანამედროვე ქართულისაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო. საბას განმარტებით, **ფარსაგი** არის „საშუალ კეთილისა და ავისა“. სემანტიკური გადაწვევის გზით აღორძინების ჩანის ლიტერატურაში ამ სიტყვამ შეიძინა კარგის, ზერიანის, რიგიანის გაგება, მაგ.: „**ფარსაგი** ვინმე შეერთოთ და შვილი ეგრეც კარგი ეყოლოსო“ („რუსუდ.“); „დადვლებულნი შიშთაგან აღარ ვარგოდენ მამლადა, აღარცინ დარჩა **ფარსაგი** პატრონად, ქვეყნის მამლადა“ (დ. გურამ.); „სიკვდილო, შენი იგაფი არა გავს **ფარსაგს** იგავსო“ (დ. გურამ.).

რიგიანის, ზერიანის, გამოსადეგის, აგრეთვე, კარგის, კეთილის მნიშვნელობით იხმარება სიტყვა **ფარსაგი** თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში. მაგ.: „უხეირო კაცთან გვეზარება ურთიერთობა... თორემ **ფარსაგ** ხალხთან მისგლა-მოსგლა ყველას გვიხარია და გვემაყება“ (გ. ბოსტოლი.); „დაუბერავდეს ქარი — **ფარსაგი**, ჩისლის გასაგისს გადაშიცლიდეს“ (ო. შალაშბ.); „კახეთო, ჰაი, კახეთო... ოქროს მარანო, **ფარსაგად** იყავ, შეილოსან, ე მანდ თავს რამე არ აენო“ (შ. ნიშნ.); „...არც რუსეთის ტახტს გამოლეგია ტახტზე ასელის მსურველნი, მაგრამ არც ქართველთა ტახტის საქმე იყო **ფარსაგად**“ (ე. მალრ.); „ზაირას სკოლაში **ფარსაგად** არ უსწავლია, მაგრამ არც ჯონით გასადენი მოწაფე ყოფილა“ (ა. ვალდ.).

ასეთსავე ვითარებას გვიჩვენებენ დღეს აღმოსავლური კილოები — თუშური, ფშაური, ხევსურული და კახური.

სალიტერატურო ენისა და აღმოსავლური კილოებისაგან განსხვავებული ვითარება შეინიშნება დასავლურ კილოებში — გურულსა და იმერულში. გურულში **ფარსაგი** ფათერაკის, ხიფათის მნიშვნელობით იხმარება.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მწერლობაში, ორიგინალურსა და ნათარგმნში, **ფარსაგი** (**ფარსაგად**) ზოგჯერ სწორედ ამ უკანასკნელი, დიალექტური მნიშვნელობით — უფარგისის, ცუდის, ავის, ფათერაკის, ხიფათის სინონიმად იხმარება. მაგალითად: „ოჯახში თუ რამ უბედურება იყო, დაღუბენს უწყება თუ სხვა რამ **ფარსაგი**, შენი ჳირ-ვარამის პირველი გამზიარებელი იყო“ („თან. რუს. მოთხრ.“); „ჭაში ქაღლი მე შეკვრის, რაღაც **ფარსაგს** თუ უგრძნობს ტანი“ („ცისკ.“); „ვიაზრე **ფარსაგ** რაღაცას გადავეყრები-მეთქი და ისე აგობდეს ყოველი კარგი“ („ცისკ.“); „დუბოვის ახალთახალ კომბაინს რაღაც **ფარსაგად** ღერძი გაუტყდა“ (კ. ლორთქ.); „მამინ ჩოხელმა კალოთუბანში ოცდაშვიდი კომლი ჩამოიყვანა, სახლები აუშენა, წყალი გაუყვანა, მაგრამ შარშან რაღაც **ფარსაგად** ტრაქტორები დროზე ვერ მიაშველა“ (კ. ლორთქ.); „თხოვნას ვით გკადრებ, უფა-

ლო, ფარსაგს, შენს სახელს ფარსაგს ვინ გაუბედავს!“ (ზ. გაგ.); „ამოლოდინმა ელჩები დაარწმუნა, რომ... თსს... ფარსაგი შეემთხვა“ (რ. ჯაფ.); „იქ გაღმა რომ რაიმე ფარსაგი შეხვედროდათ, ვაი თუ ხელიც ვეღარავის გაენძრიათ“ (რ. ჯაფ.); „რაჰის ერისთავს რაღაც ფარსაგი განუზრახავს, რომ თავს ლაფი დაგეასხას და პირში ჩალა გამოგვაველოს“ (რ. ჯაფ.); „ფარსაგი არ მეგონა? მაგის გასაგებად მოხვედრი ამ ყიამეთში?“ (რ. მიშვ.); „...ფარსაგი რაღაც მჭირდა, ეგონათ“ (ო. იოს.); „შე კაცო, ფარსაგი არ მეგონა?“ (რ. მიშვ.); „თუ რაიმე ფარსაგი მოგველის, ჯანი გავარდნია, ისევ მე მომივიდესო“ (რ. ჯაფ.).

ფარსაგი, ფარსაგად სიტყვების ამგვარი ხმარება დიალექტიზმად უნდა შეფასდეს. ასეთი დიალექტიზმები მწერლის ნაწერებში დასაშვებია, თუკი იგი კოლორიტის შესაქმნელად, ანა თუ იმ დიალექტზე მეტყველი მოქმედი პირის დასახასიათებლად იქნება მოხმობილი: „— თქვენ ერმინე სახამბეროიდის მეუღლე ბრძანდებით, ალბათ. — კიე, ფარსაგი ხომ არაფერია? — არაფერი-თქვა, ხომ გითხარით“ (რ. მიშვ.).

მაგრამ მწერლისეულ თბრობაში სიტყვის დიალექტური მნიშვნელობით ხმარება არაა გამართლებული, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამ სიტყვას სალიტერატურო ენაში სრულიად განსხვავებული, მეტიც — საწინააღმდეგო მნიშვნელობა აქვს.

ფასი, ჩვეულებრივ, აღნიშნავს საქონლის ფულად ღირებულებას. ამიტომ ენაში არსებობს კიდევ მყარი გამოთქმები: ფასს დაადებს, ფასს აუწევს, ფასს დაუწევს, ფასი ემატება, ფასიაკლოება, მტკიცე ფასი, ცეცხლის ფასი და სხვ.: „წიფელმა იკითხოს, თორემ ხმელ მუხასაც ღიდი ფასი აღდეს“ (კ. კობერ.); „მემამულე თავის ნებით ვერ აუწევს და მოუმატებს იჯარის ფასს“ (ილია); „გაძვალტყავებულ რქოსნებსა და უჯიშო ღორებს ჩამოსულებმა ცეცხლის ფასი დაადეს“ („ცისკ.“); „ჯიბე ფულით თუ არა აქეთ სავსე, გახვრეტილი კაპიკია მაგათი ფასი“ („ცისკ.“)...

თანამედროვე ზეპირსა და წერით მეტყველებაში საბელი ფასი ზოგჯერ შეუფერებელ სიტყვებთან არის დაკავშირებული და ისეთ უაზრო შესიტყვებებს ვიდებთ, როგორცაა **იაფი ფასი, გაიაფებული ფასი, ფასი იაფდება, ფასს აძვირებს, ფასი ღირს და ა. შ.**

იაფი ნიშნავს მცირე ფასს მქონეს, ხოლო **ძვირი** — ღიდი ფასის მქონეს. ამდენად, როგორც **იაფი** (გაიაფებული), ისე **ძვირი** (გაძვირებული) შეიძლება იყოს მხოლოდ საქონელი, ნივთი და არა მისი ფასი: „ჩვენს რესპუბლიკაში... გაიაფებული საქონელი აღრეც იყიდებოდა“ („კომ.“). შესაბამისად, **გაიაფება** — ფასის დაკლება და **გაძვირება** — ფასის მომატება — შესაძლებელია მხოლოდ ამა თუ იმ საქონლისა, ნივთისა...: „სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში ფასების

დაწევა კოლპერაციასაც საქონელს აიაფებინებს“ (ქეგლ); „ხანოვაც და სხვა ყოველივე ოჯახის სახმარი ნივთიერება თუ საგანი გაძვირდა, ერთიორად ფასობდა“ (ე. ბარნ.); „როცა საქონელი ძვირდება, სინდისი იაფდება“ (მ. ჭავჭავაძე)...

შეუფერებელი სიტყვათშეხამებაა აგრეთვე ფასი ღირს, რადგან ზმნა ღირს თვითონ ნიშნავს; ესა თუ ის ფასი, ფულადი ღირებულება აქვს („ჩემი ქალის სამკაული ღირდა ორას თუმნად“, — ლ. არღაზ.) და ამდენად, ეს ორი სიტყვა აზრობრივად არ შეიძლება დაუკავშირდეს ერთმანეთს. ჩვეულებრივი გამოთქმებია: რა ღირს? რა ფასი აქვს? რას აფასებს? როგორ ფასობს?

ზემოთქმულის საფუძველზე, აზრობრივ-სტილისტიკურად გაუმართავია შემდეგი წინადადებები: „საჩაიე იყოს! შიგ იქნება ყველაფერი... იაფ ფასებში [უნდა იყოს: ხელმისაწვდომ... ფასად]“ (დ. კლდ.); „ისინი.. განსაზღვრავენ იმ ნაწარმის ნუსხას, რომელთა ფასები იაფდება [უნდა იყოს: იკლებს]“ („კომ.“); „ახლანდელი გაყიდვის ღროს ფასები გაიაფდება [უნდა იყოს: ფასები დაიკლებს; ან: საქონელი გაიაფდება] 8 მილიონ მანეთზე მეტით“ („კომ.“); „საქონელი გაიყიდება იმ მაღაზიებში, სადაც გაიაფდა ამ ნაწარმის საცალო ფასები [უნდა იყოს: სადაც დაიკლო ფასებმა]“ („კომ.“). შდრ.: „ქვეყანა საზამთროს მიაქვს, არ უნდა დაუკლოთ ფასი? („თბილ.“); „ერთხელ და სამუდამოდ ჩამოვაშოროთ ბაზრებს ქორვაჭრები, ... რომლებიც ფასებს ხელოვნურად აძვირებენ [უნდა იყოს: საქონელს აძვირებენ, ან: ფასებს ზრდიან, უმატებენ]“ („თბილ.“). შდრ.: „გაყიდვის დამთავრების შემდეგ დარჩენილი საქონლის ფასი კვლავ მოიმატებს?“ („კომ.“); „ამ ენაამოუდგმელი „მოენებებს“ ყოველი სიტყვა ოქროს ფასი ღირდა [უნდა იყოს: სიტყვას ოქროს ფასი ედო]“ („მნათ.“)...

ფასის აწევასთან, გაძვირებასთან დაკავშირებით ქართულში გამოიყენება აგრეთვე ფრაზეოლოგიური გამოთქმები: ცეცხლი უკიდა, ცეცხლი ეკიდება, რაც ნიშნავს: ძალიან/მეტად ძვირია; ცეცხლის ფასს ადებს, ცეცხლის ფასად ყიდის — ნიშნავს: ძალიან ძვირად ყიდის, ძვირს აფასებს; ცეცხლის კიდება — მეტისმეტი სიძვირე („ფარაჯის საყიდლად წავედი... ცეცხლის კიდებაა სწორედ!... მამასისხლად აფასებენ“, — შ. არაგვ.). მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ენაში ტრადიციულად დამკვიდრებულ ამ მყარ გამოთქმებსაც უმართებულოდ ცვლიან: „ქათმები, ეტყობა, ღერმაში შეუძენია, ფასს მაინც ცეცხლს უნთებს [უნდა იყოს: მაინც ცეცხლის ფასად ყიდის]“ („თბილ.“); „შავ ბაზარზე, ეგრეთ წოდებული პრესტიჟული მარკის ავტომობილებს ცეცხლის ფასი უკიდა [უნდა იყოს: ავტომობილებს

ცეცხლის ფასი აღეგს, ან: ავტომობილები ცეცხლის ფასად იყიდება“ („კომ.“).

ფაქტი — ფაქტორი. ეს ბგერობრივად მსგავსი და მნიშვნელობით განსხვავებული სიტყვები პარონიმებად იქცევა, როცა არასწორად მოიხმარება ერთიმეორის ადგილას.

სიტყვა **ფაქტი** (ლათ. factum = გაკეთებული) ნიშნავს: 1. რაც სინამდვილეში მოხდა | სინამდვილი, უქვევლი; 2. ესა თუ ის მონაცემი, მასალა რაიმე დასკვნის გამოსატანად ან მოსაზრების დასადასტურებლად. მაგ.: „მოგვიყვანეთ ჭეშმარიტი, ცხოვრებისეული მაგალითები, სწორი, შეუღამაზებელი **ფაქტები** და საშუალება მოგვეცით დამოუკიდებლად ვავერკვეთ მათში“ („ახ. კომ.“); „კიდევ ერთი სულს შემძვრელი **ფაქტი** გაგვაცნო მეათეკლასელმა“ („ახ. კომ.“) და სხვ.

ფაქტორი (ლათ. factor) არის რაიმე მოვლენის განმსაზღვრელი ან პროცესის მამოძრავებელი ძალა. მაგ.: „პოეტის უკვდავების განჭვრეტა ცოტა უცნაურ **ფაქტორზეც** არის დამოკიდებული“ („ნათ.“). მყარი გამოთქმებია: **სუბიექტური ფაქტორი, ობიექტური ფაქტორი, განმსაზღვრელი ფაქტორი** და მისთ.

მიუხედავად **ფაქტისა** და **ფაქტორის** სემანტიკური სხვაობისა, გარეგნული მსგავსების გამო თანამედროვე ქართულ სიტყვათხმარებაში გვხვდება მათი აღრევის შემთხვევები. მაგ.: „ესეც ხომ მატჩისაღმი უჩვეულო ინტერესის ერთ-ერთი **დამადასტურებელი ფაქტორი** იყო“ („კომ.“). ასეთ კონტექსტში სიტყვა **ფაქტორი** რომ არ გამოდგება, საესებით ნათელია. შესიტყვება **დამადასტურებელი ფაქტორი** აზრობრივად შეუთავსებელი სიტყვათშეხამებაა. **დამადასტურებელი** ის არის, რაც ნამდვილია, უქვევლი, ე. ი. ფაქტია და არა პირობა ან მიზეზი. ამიტომ დასახელებულ კონტექსტში უნდა ყოფილიყო შესიტყვება: **დამადასტურებელი ფაქტი**.

ფეხს ამოადგმევიწინებს სალიტერატურო ენისათვის არ არის ჩვეულებრივი, ბუნებრივი შესიტყვება. გავრცელებულია და ბუნებრივი **ფეხ-** სიტყვის შემცველი ასეთი გამოთქმები: **ფეხს არ ჩაადგმევიწინებს** — არ ჩაუშვებს სადმე; **ფეხს არ შეადგმევიწინებს** — არ შეუშვებს, შესვლის საშუალებას არ მისცემს; **ფეხს არ დააკარებინებს** — არ მიუშვებს, არ გააქაჩანებს; **ფეხს ამოაკვეთინებს** (საიდანმე) — მისვლის საშუალებას მოუსპობს, არ მიუშვებს, ფეხს აღარ მიადგმევიწინებს. მაგ.: „იერემიას ფოთიდან **ფეხი ამოაკვეთინებს**“ (გ. წერეთ.); **ფეხს არ მიადგმევიწინებს** — არ მიუშვებს. გურულ დიალექტში ამ მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე გამოთქმა — **ფეხს ამოადგებინებს**.

ჩამოთვლილი ბუნებრივი გამოთქმების გვერდით მათივე ანალოგიით შეიძლება შეგვხვდეს უმართებულო გამოთქმებიც, რომლებიც

გავრცელებული, სემანტიკურად მსგავსი გამოთქმების კონტამინაციის შედეგადაა მიღებული. ასეთი შესიტყვებაა, კერძოდ, ფებს ამოადგმე-ვინებს, რომელიც ერთგან ნახმარია შემდეგი მნიშვნელობით: აღარ მიუშვებს, მისვლას აუკრძალავს, განდევნის საიდანმე, ფებს აღარ დაადგმევინებს, აღარ გააჭაჭინებს, გააგდებს: „განა მე არ ვიყავი, ჩვენს ნაბატონარ მანდარის მისივე მიწა-წყლიდან ფეხი სამუდამოდ რომ ამოვადგმევინე?“ [უნდა იყოს: ამოვაკვეთინე ან ამოვაგდებინე]“ (დ. შენგ.). არამართებული შესიტყვება შეიძლება მიღებული იყოს ორი გამოთქმის — ფებს ამოაკვეთინებს და ფებს ამოაგდებინებს — შერწყმის შედეგად.

ფინიში სპორტული ტერმინია, მომდინარეობს ინგლისური finish-იდან (— გათავება, დამთავრება). ფინიში ძირითადი მნიშვნელობით, უკანასკნელი, ვადამწყვეტი ნაწილია ზოგი სპორტული ასპარეზობისა, ან დისტანციის უკანასკნელი პუნქტი შეჯიბრებისას. ჩვეულებრივ, ეს სიტყვა იხმარება ისეთი სპორტული შეჯიბრების ბოლო პუნქტის შესახებ საუბრისას, რომლის დროსაც გარკვეული მანძილი დასაფარავი (სირბილში, ლოდში, სათხილამურო სპორტში, ცურვაში...), მაგ.: „ფინიშთან პირველი მიიჭრა ჩემპიონი“ („ლელო“); „ფინიშზე პირველი იყო რაისა სმეტანინა“ („კომ.“). მაგრამ ისეთ შემთხვევებში, როცა ფინიშს ადგილის მნიშვნელობა აქვს, შედარებით იშვიათია. ამ სიტყვას უფრო ხშირად და თავისუფლად იყენებენ ყოველგვარი სპორტული შეჯიბრების ან ასპარეზობის დასასრულის მნიშვნელობით: „ასპარეზობის ფინიში“ („კომ.“ — სათ.); „ჭაბუკი ხომერიკი საინტერესოდ თამაშობს ჭადრაკს, მაგრამ პარტიის ფინიშზე საქმეს ზერელედ ეკიდება“ („ლელო“) და მისთ.

ხშირია სიტყვა ფინიშის ისეთ კონტექტებში გამოყენების შემთხვევები, რომელთაც სპორტთან არვითარ კავშირი არა აქვთ: „გამოცდების ფინიში“ („ახ. კომ.“ — სათ.); „სახწავლო წლის ფინიშთან“ („თბილ.“); „სახწავლო წლის ფინიშზე კი მერვეკლასელებს მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ზეპირი გამოცდა ჰქონდათ“ („სახ. გან.“); „საიუბილეო წელს — დამკვრელური ფინიში“ („კომ.“ — სათ.); დამკვრელური წლის ფინიშს — შრომითი მიღწევები“ („თბილ.“ — სათ.); „უხვი დოვლათის შემქმნელები ჩვენი კოლმეურნეები არიან, რომლებიც ფინიშზე, შეიძლება ითქვას, პირველნი მივიდნენ“ („კომ.“); „საამაყო ფინიში, სასახლო სტარტი“ („კომ.“ — სათაური-რუბრიკა, რომელიც აერთიანებს სამ წერილს მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისა და მეათე ხუთწლედისათვის მზადების შესახებ).

როგორც ჩანს, სათაურებში ან რუბრიკის სახელწოდებებში უფრო ხშირად მიმართავენ ფინიშ-სიტყვას, — ალბათ, სიმოკლის გამო.

მაგრამ ამგვარად ხმარებით გატაცების ტენდენცია მაინც უნდა შეიზღუდოს, რათა თავიდან ავიცილოთ უხერხული, ზოგჯერ უაზრო ან ქართულისთავის არაბუნებრივი, დაშტამპული ფრაზები: „საგაზაფხულო სტარტი კარგად აიღეს [უნდა იყოს: საგაზაფხულო სამუშაოები კარგად დაიწყეს] ლაგოდნის რაიონის მშრომელებმა. მათი გადაწყვეტილებაა **ფინიშიც** [უნდა იყოს: ბოლო, დასასრული, შედეგი] სასურველი იყოს“ („სოფლ. ცხოვრ.“); „ბრწყინვალე **ფინიშის** [უნდა იყოს: გამარჯვების] შედეგად ოქროს მედლები დაისაკუთრეს მასპინძელთა... კალაბურთელებმა“ („ახ. კომ.“); „მათი IV ადგილი მოსკოვის დინამოს **ბრწყინვალე ფინიშის მიზეზით** [უნდა იყოს: გამარჯვების შედეგად] შესაძლოა თვალსა და ხელს შუა გაქრეს“ (ლელო“) და სხვ.

მაშასადამე, სიტყვა **ფინიში** თანამედროვე ქართულში იხმარება როგორც შეჯიბრების (ასპარეზობის) დამთავრების ადგილის, ისე, საზოგადოდ, თვით შეჯიბრების **დამთავრების, დასასრულის** აღსანიშნავად. პირველი მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევაში ქართულისათვის ბუნებრივია **-თან** თანდებულებიანი ფორმა (**ფინიშთან**), **-ზე** თანდებულებიანი ფორმა (**ფინიშზე**) კი რუსულის კალკი ჩანს.

რუსულის მიხედვით არის აგრეთვე ქართულად გამართული ფრაზა „**ფინიშის სწორზე** გავიდა“ (на финишную линию), რაც გულისხმობს ასპარეზობის ბოლო ეტაპს ისეთი სპორტული შეჯიბრების დროს, როცა მანძილის დაფარვა სწორხაზობრივად კი არ ხდება, არამედ წრეებად, ბოლო წრის მანძილის დაფარვას რომ შეუდგება სპორტსმენი და, ამდენად, მიუახლოვდება ფინიშის ხაზს თუ ადგილს, მაშინ ამბობენ: **გავიდა ფინიშის სწორზე**, ე. ი. **ფინიშის სწორ ხაზზე**. ეს გამოთქმა ხშირად გადატანითი მნიშვნელობითაც გამოიყენება: „ხუთწლედის მეორე წელიც **ფინიშის სწორზე** გავიდა“ [უნდა იყოს: იწურება, მთავრდება]“ (ტელგად.); „ა“ კლასის II ჯგუფის წყალბურთელთა საკავშირო ასპარეზობის **პირველი წრე ფინიშის სწორზე** გავიდა [უნდა იყოს: დასასრულს მიუახლოვდა]“ („ლელო“); „**ოლიმპიადა ფინიშის სწორზე** გავიდა“ („ლელო“ — სათ.); „**ოლიმპიადა ფინიშზე** გავიდა“ (ახ. კომ.“). ორივეგან უნდა იყოს **მთავრდება**; „ახლოვდება ახალი წელი, როგორი იქნება იგი ელმავალმშენებელთა ოჯახისათვის, სადაც **წლის ფინიშის სწორზე** [უნდა იყოს: წლის ბოლოს] კოლექტივის ახალი თაოსნობა, ახალი ინიციატივა დაიბადა“ („თბილ.“) და სხვ. იგრძნობა, **ფინიშის სწორი** ქართულში თითქოს სხვაგვარადაა გაგებული. გამოთქმა **ფინიშის სწორზე** გავიდა უფრო ასეთ სემანტიკას შეიცავს: **ფინიშს მიუახლოვდა, გაუსწორდა**. ასეთ გაგებას, შესაძლოა, ხელს

უწყობს ქართულში სიტყვა **სწორის** დაახლოებით ანალოგიური ნიუ-ანსით ხმარება გამოთქმაში: **დღეის სწორს**.

ქართულისათვის არაბუნებრივია აგრეთვე გამოთქმები: **ფინიში ჰქონდა, მძლავრი ფინიში** და სხვ. მაგ.: „ზეფელდის მთებში **ფინიში ჰქონდა** ვაჟთა სათხილამურო რბოლას 15 კილომეტრზე“ („თბილ.“). ესეც რუსულიდან შემოსული კალკი ჩანს. აქ მარტივად და ქართული-სათვის ბუნებრივად უნდა თქმულიყო: **ზეფელდის მთებში დამთავრდა** ვაჟთა სათხილამურო რბოლა; „**კარგი ტექნიკა, მძლავრი ფინიში** და წამმზომები აღნუსხავენ თითქმის 3 წამზე უკეთეს დროს“ („კომ.“).

მაშასადამე, სიტყვა **ფინიშის** მონაწილეობით შედგენილი გამოთქმების გამოყენებისას მეტი სიფრთხილე და ზომიერებაა საჭირო, რათა ამ სიტყვის არადანიშნულებისამებრ გამოყენებამ გზა არ გაუკაფოს სალიტერატურო ქართულისათვის არაბუნებრივ სიტყვათშეხამებებს.

ფრედ ითამაშებს. ამ გამონათქვამს ხმარობენ შემდეგი მნიშვნელობით: თამაშს ფრედ დაამთავრებს, თამაშის შედეგი ფრე იქნება. მაგ.: „საქართველოს წარმომადგენლებმა... **ფრედ ითამაშეს** ბელორუსიასთან“ („ლელო“); „რუსთავის „მეტალურგმა“ დაამარცხა ჩელიაბინსკის (2:0) და აღმა-ათის (2:0) გუნდები და **ფრედ ითამაშა** დონეცკის „შახტიორთან“ („ლელო“).

ამ შესიტყვების წევრები — **ფრედ** და **ითამაშა** — ვერ ჰგუობენ ერთმანეთს: თამაში პროცესია, ხოლო **მოგება, წაგება, ფრე** — შედეგი. გარკვეული შედეგის მქონე შეიძლება იყოს არა თამაში (პროცესი), არამედ მისი დასრულება. ამიტომ ბუნებრივი გამოთქმებია: **თამაში დამთავრდა** (დასრულდა) მისი **მოგებით, თამაში წაგებით დაამთავრა** (ანდა: **თამაში მოიგო, თამაში წააგო**), **თამაში ფრედ** (ყაიმით) **დამთავრდა** (დასრულდა). მაგრამ შეუძლებელია ითქვას: **ფრედ ითამაშა**, ისევე როგორც: **ყაიმით ითამაშა**.

3

ქორწილში / ქორწილზე. მიიწვია, მიპატიუა, წავიდა, იყო და მსგავსი სემანტიკის მქონე ზმნებთან **ქორწილი** ტრადიციულად -ში თანდებულიანი ფორმით იხმარება: „ვაჟი ვერ შეგუებია ამხანაგის დაკარგვას და მუდამ მასზე ფიქრობს — **ქორწილშიაც მიიწვევს ცივ საძარეში მწოლარეს**“ („ხალხ. სიტყ.“); „**შეზარბოშებულ მძღოლს გაახსენდა, რომ... მეგობართან ქორწილში იყო დაპატიჟებული**“ („კომ.“);